საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2296 2023 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის განსაზღვრის თაობაზე

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების (შემდგომში – დადგენილება) მე-2 მუხლის საფუძველზე, ამავე დადგენილებით გათვალისწინებული პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყოს არა უმეტეს 400 000 000 (ოთხასი მილიონი) ლარისა.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის (შემდგომში – კომისია) მიერ დადგენილებით განსაზღვრული წესით პროექტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) თითოეული მუნიციპალიტეტისათვის ხელმისაწვდომი რესურსის ფარგლებში პირველ ეტაპზე უნდა დაფინანსდეს დადგენილებით განსაზღვრული წესითა და პროცედურებით დაწყებული ის პროექტები, რომელთა განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია 2023 წლის 31 დეკემბრამდე და პროექტის დასრულება გათვალისწინებულია 2024 წელს ან შემდეგ წლებში;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროექტების დაფინანსება 2024 წელს არ უნდა იყოს ამავე პროექტებზე გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში 2024 წელს ასანაზღაურებლად საჭირო თანხაზე ნაკლები;

გ) შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ ახალი პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში, დაფინანსებაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობის დაკმაყოფილების შემდგომ;

დ) იმ შემთხვევაში, თუ დადგენილებით განსაზღვრული თანხის განაწილების ფორმულის საფუძველზე შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის ხელმისაწვდომი თანხა ნაკლებია ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საჭირო თანხაზე, პროექტის დაფინანსება უნდა განხორციელდეს შემდეგი წყაროებიდან:

დ.ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობებიდან;

დ.ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის ფარგლებში 2024 წელს წარმოქმნილი ეკონომიებიდან;

დ.გ) დადგენილების შესაბამისად 2025 წლისთვის მუნიციპალიტეტისთვის ხელმისაწვდომი რესურსიდან.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პროექტების დაფინანსებაზე წინადადებების საქართველოს მთავრობისთვის წარმოდგენა უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ხოლო მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულების მონიტორინგი განახორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**